

1/1964

სიანუ

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 კპ.

ქართული
ბიზლიროთეკა

ზოგიერთ დაწესებულებაში თვეობით
ჭიანურდება პასუხის გაცემა მშრომელთა წერილებსა
და განცხადებებზე.

— პატივცემულო დირექტორო, თქვენთან რამდენიმე
განცხადება შემოვიტანე და პასუხი ჯერაც არ მიმიღია!
— ერთი განცხადებაც კიდევ დამიწერეთ იმაზე, რომ
თქვენ განცხადებები გქონდათ ჩვენთან შემოტანილი!



სალამი და გამარჯვება ნუ მოგიშლის ღმერთმა, ოსმან ფერადევიჩი რომ იტყვიან „ზედი მომეც და სანებზე გადამადგო“, სწორედ შენვე ყოფილა ნათქვამი. მართალია, დიდუბის ნაგავსაყრელზე ყოველგვარი ნედლეულის დამზადება აკრძალეს შემდგომმა ორგანოებმა და ამის შესახებ წერილობითაც გაცნობეს, მაგრამ შენ ეს ცნობა „ცნობად“ არ მიიღე და შენი „ბიჭები“ დღესაც განაგრძობენ იქ „მოღვაწეობას“.

რას იზამ, პატივცემულო ოსმან, ბედურას რამდენიც არ უნდა აუქშიო, მაინც იმ ადგილს ეტანება, სადაც საკენი ეგულდება. ისე, კაცმა რომ თქვას, კარგი „ბიჭები“ გყავს! არა, მაინც საიდან შეაგროვე ასე ტალიკ-ტალიკი ბიჭები?! თუმცა, შენი თქმისა არ იყოს, შიგადაშიგ „ინტრიგანიც“ შემოგება-რა, მაგრამ, რას იზამ, იმიტომაც ხალხს ჭრელი, რომ ზოგი რას იტყვის და ზოგი რას, ყველას ხომ ვერ აუკრავ პირს?.. დავასხი თავსლაფი ამნაირ „ინტრიგანებს“. ხომ გახსოვს, რანაირი შიში გაჭამეს ამას წინათ. შეგეშინდებოდა, აბა რა იქნებოდა, იმხელა პროექტი რომ „გააშანაშალებს“, შენი მოხსნ... ნუ გეშინია, ოსმან ფერადევიჩი, არც ჩვენ დავამთავრებთ ამ სიტყვას, იმ შენი დამდუღველი პროექტით, რომელიც ენის წვერზე მიაცივდათ მის ავტორებს. ეს ამბავი, ალბათ, დივიწყებულიც გექნება და, რა საჭიროა, ძველი „ჭრილობების“ გახსენება.

ისე კი ყველაფერი შენმა „ბიჭებმა“ გიყვებს, რაც გიყვებს. ძალიან კარგად იცოდა შენმა მეფარდულე კატანოვმა, რომ მისი სამოღვაწეო რაიონი, ლენინისა და პირველი მაისის რაიონებით შემოიფარგლებოდა... არ იცოდა?!... როგორ არ იცოდა შენ და შენი ღმერთი, რამდენჯერ დაუფიცნია კი დედ-მამის სული, რომ არამცდარამც ქალაქგარეთ არ გავიღოდა „საშოვარზე“, მაგრამ რა გამოვიდა. აქაოდა ორი ყური მამიაო, ერთში რომ შეეუშვებ, მეორეში გამოვუშვებო და ერთ მშვენიერ დღეს ქარელში ამოჭყო თავი.

მის მაგალითს ანანიკანმაც მიბაძა, მერე ხაჩიკანმა, მერე არუთინოვმა, მერე ჩხეიძემ, მერე რუჟანა მელქუმოვამ და ერთმანეთის წაბაძვითა და წახედვით კი მანამც კვ ხილის კურკა შეისყიდეს ქარელში.

„შესყიდვა“ აქ სიტყვამ მოიტანა, თორემ ქე უნდა ვთქვათ, რა შესყიდვა უნდოდა ქარელის ხილეულის ქარხნის ტერიტორიის გარეთ გადაყრილ და უპატრონოდ მიტოვებულ კურკას?!

ჰოდა, რაკი ამგვარად „დამზადებული“ კურკის საფასურის ამღები არავინ აღმოჩნდა, დებულების თანახმად, კილოგრამი კურკის დამზადების ღირებულება 20 კაპიკი და დამზადების საფასური 8 კაპიკი, სულ 28 კაპიკი, კატანოვმა და ყველა შემოთ დასახელებულმა პირებმა „აითვისეს“, რაც 1500 მან. და 52 კაპ. შეადგენს.

რას იტყვი, ოსმან ფერადევიჩი?.. გვარის თანხაა, ხომ?! კატანოვის თქმისა არ იყოს, „ჭუჭყიანი ხელობაა, მაგრამ სუფთა საქმეა“ ეს „უპატრონო“ კურკა ხარისხიანი მაინც გამოსულიყო და სხვანაირად აღარ მოეჭრა შენთვის თავი?.. მერე ისიც სად?.. რესპუბლიკის გარეთ, კრანსოდარის მხარეში, არმავირის წეთისსახდელ ქარხანაში. მართალია, შენი „ბიჭები“ ტრახბახობენ, ქვიდან წეთს გამოვადენთო, მაგრამ... ქვიდან კი არა, მათი დამზადებული კურკიდანაც არ გამოვიდა წეთი. დაიწუნეს შენს მიერ გაგზავნილი კურკა, ოსმან ფერადევიჩი... ჰოდა, დებულების გაცვლა-გამოცვლამ რომ ვერაფერი უშველა საქმეს, მატვევთან და კატანოვთან ერთად შენი თავიც მიავლინე არმავირში.

ბრძანება № 18, 1968 წლის 21 თებერვალი... ხომ გახსოვს, ოსმან ფერადევიჩი... „დღის რიცხვიდან მივემგზავრები არმავირში და კრანსოდარს...“

და ჩემი მოვალეობის შესრულებას ვაკისრებ კ. რუხაძეს“. ეს სიტყვები თქვენი ბრძანებიდანაა ამოწერილი, თუმცა ამ „სიტყვებმა“ საქმეს ბევრი ველარაფერი უშველა, გარდა იმისა, რომ 6.542 კილოგრამი კურკიდან დიდი ვიზიგლახითა და ჰაპანწყვეტით მიაღებინეთ 2.592 კგ და ისიც დაბალ ფასებში, ხოლო დანარჩენი კურკის დაწუნებაში შენც ქე მიიღე მონაწილეობა. რა ამისი ბასუბია, ოსმან ბატონო, და ამ საქმეს ხომ ერთი კაციც „მოუვლიდა“?!

ერთი სიტყვით და ორი ბასუხით, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, თქვენმა კანტონამ, უხეშად რომ გამოგსახოთ, 1.700 მანეთამდე ზარალი იგება. ისე კი ამ საქმეში კონკრეტული დამნაშავეები შენს შიგს უნდა ფიცულობდნენ...

როცა პარტიულ კრებაზე დაისვა საკითხი, ადრე ნასამართლევო, მატრიულურად პასუხისმგებელი პირების შესახებ, შენ მათ ნდობა გამოუცხადე და დატოვე დაკავებულ თანამდებობაზე, რა მოხდა მერე, თუ ადრე, „დაკავებული“ იყვენ, სამაგიეროდ, სხვადასხვა დანაშაულიცა ჰქონდათო.

რაკი მაღლი ქენი, მარილიც მოაყარე და საშუალებაც ქე მიეცით კატანოვს, ხაჩიკანს, ანანიკანს, ჩხეიძეს და მელქუმოვას, რომ „თუ აქვთ საშუალება შემოაღინშულ პირებს, ნატურით დაფარონ დანაკლისი თუ არა და ფულად შემოიტანონ“... ეს სიტყვებიც შენი ბრძანებიდანაა ამოღებული.

კაცი რომ უმადური იქნება, თორემ, რა უნდათ მეტი, მე შენ გიტყვი, შენი თანამშრომლები, რომლებიც გამოშვებებზე იმყოფებიან, ხელფასს დაემდურებიან. ის კი არა, ერთ სეზონში 200 მანეთზე დაბლა იშვიათადა თუ ვინმე ჩამოვა. ტყუილად კი არ ტრახბახობენ კერესელიძე და მატვევი, ამ საქმის პროფესორები ვართო. ჩვენ რომ მათ ხელფასებს გადავხედოთ, პროფესორები კი არა, „აკადემიკოსები“ გვეგონენ. მაგალითად: კერესელიძეს 1962 წლის მაისის თვეში ხელფასის სახით მიღებული აქვს 511 მანეთი; ხოლო ქვეანგარიშით — 1892 მანეთი; მატვევის ხელფასი — 378 მანეთი, ხოლო ქვეანგარიშით — 1000 მანეთი.

ახლა ამას დავუმატოთ ყოველთვიური პრემიები.

არა, ოსმან ფერადევიჩი... რა უნდათ ამ ხალხს ამაზე მეტი? თუ შენ ენდობი ყველას ამოდენა საქვეანგარიშო თანხას და ისიც როგორ ხალხს, ზოგიერთებს შრომის წიგნაკი კი არა, უბრალო ცნობებიც არა აქვთ წარმოდგენილი და „ალახმა უწყის, ვინ სად ცხოვრობს“. რაკი ცნობებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, პირველად შენი შტატის დამამზადებელი ს. გ. შანსაროვი უნდა დავასახელოთ, აი ის, გრხ-58-61 „პობედაზე“ რომ წის და შენს მიერ მიცემული ცნობის მეტი რომ არაფერი გააჩნია, მაგრამ... სამაგიეროდ შენი დაწესებულების ფარდულის მუშაკის მეცატუნისა „ცნობა“ რად ღირს... აი ის, № 17 სახლმმართველობიდან რომ აქვს აღებული, თითქოსდა ამ ცნობაში უცნაური არაფერია, კაცი დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და არსად არ უმუშავნია, ეს არის და ეს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მეცატუნისანი, რომელსაც პირველი მაისის რაიონის № 17 სახლმმართველობამ 1954 წელში გაუქვთა „დემობილიზაცია“, 1892 წელსაა დაბადებული.

რა მოხდა მერეო, იტყვის ზოგიერთი. ჩანს, მაღალი ჩინის სამხედრო პირია და ხანდაზმული დაბრუნდა სამშობლოს წინაშე ვალდებულებით. მაგრამ, არაფერი შეგეშალათ!.. კაცს მეფის არმიის უმსახურნია, როგორც თვითონ ამბობს და იქიდანაც გამოქცეულა 1914 წელს (კარგია, რომ მეფის არმიას გამოექცა), მაგრამ სად დასაქარგავში გაიქცა, რომ მას შემდეგ 50 წელი აღარსად უმუშავნია.

ეს, რა ოქროს გული გაქვს, ოსმან ფერადევიჩი... შენს კეთილსა და სათნო გულს უნდა უმადლოდეს მიხეილ ბაბუნაშვილიც, რომელიც 1968 წელს გაცემული № 54 ბრძანებით მოტოროლერის მძღოლად დაინიშნა და თვეში 55 მანეთს იღებდა ხელფასს. ბაბუნაშვილი 7 თვეს „მუშაობდა“ თქვენთან და ერთი დღეც არ მჯდარა მოტოროლერზე. ან რაზე უნდა დამჯდარიყო, როცა მოტოროლერს აღარც დასაჯდომი ჰქონდა და აღარც დასაჯდომი.

ჰო, მართლა, კადრების შესახებ გვინდა გკითხოთ. რატომ არის შენს კანტონში კადრების ინტენსიური

ანხ. გ. შირცხალაშასი



— კარი მოხურეთ, თქვენ სახლს კარი არა აქვს?
— სწორედ მაგისათვის მოვედი თქვენთან!

დენდობა?! ვერ გაიგებს კაცი, ზოგი გარბის შენი ობიექტიდან, ზოგი დედაბუდიანადაა „ჩამომხტარი“ შენთან. თუ ხათრი გაქვს, ბარემ ესეც გავგაგებინე, რაზე მოუვიდათ ჩხუბი საწყობის გამგე ტრაპაიძეს და დამამზადებელ ზარდიაშვილს?.. რა იყო ეს, ნამდვილი „მუშტიკრივი“ თუ რაიმე სოცრტული ღონისძიება, ზარდიაშვილი „ნოკაუტში“ რომ ჩააგდეს და მერე რომ საავადმყოფოში იწვა. სხვა რაღა მოგწეროთ, ოსმან ფერადევიჩი... წერილი ისედაც გავვიგრძელდა, იყავი კარგად და, რაც მთავარია, მაგრამ! ჩანს მარფათიანი კაცი ხარ და რამდენი ბრძანებაც არ უნდა დაიწეროს შენი „ღვაწლის“ დასაფასებლად, ყველას მოუვლი.

ნიანგი

თელავის აეროპორტის ბაქანზე გამოფენილ მგზავრებს თავები მალა აეწიათ და კრიალა ცაზე თვითმფრინავს ეძებდნენ.

— დაგვიბრვივეს თელაველები თბილისის აეროპორტის მუშაკებმა, დღეს რა უშავს, გვირდებიან მაინც, ექვს და თოთხმეტ იანვარს უნდა გენახათ, საღამომდე მშენიერ ამინდში ავღარს ემღურებოდნენ, საღამოს გამოგვიცხადეს, თბილისის აეროპორტს თვითმფრინავები არა ყავს და რა ჩვენი ბრალოა, — ამბობდა ერთი ახალგაზრდა.

სახლიდან საგზალიც არაფერი გამომატანეს, რად გინდა საჭმელი, სანამ პირს ვაალებ, თბილისში იქნებო. იქნებ საღამომდე აქ მაყურყურტონ და მშვიერი უნდა მოვკვდე? — თქვა მოხუცმა.

— რათა მშვიერი, ბიძაჩემო, აქვე ბუფეტია. — მმ, ბუფეტი... კურდღელაურელ გიორგის სიძე აქა მუშაობს და, სახლიდან რომ საჭმელს არ უგზავნიდნენ, შიმშილით გასძვრებოდა სული.

კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ვილაც თბილისელ მგზავრი, აქამდე რომ გაბუტულივით იჯდა, აეროპორტის მორიგეს მივარდა.

— თქვენს ბუფეტში საჭმლის ნასახი არ მოიპოვება, იქნება უფლება მომცეთ თელავში ნათესავს დავურეკო, რომ საჭმელი მომაშველოს.

— თელავის ხაზი გავეუქმეს, გურჯაანის სამმართველოს უფროსი კარგა ხანია გვიპირდება თელავთან პირდაპირი ხაზის აღდგენას და, თუ კიდევ არ მოგვატყუა...

— აბა ველოდით ხაზის აღდგენას?!

— როგორც გინდათ! ვარდისუბნელმა ილამ დიდხანს აფათურა ხელი ხურჯინში. ბოლოს ისევ ტიკტორას მიუბრუნდა, საჭ უქ მოუშვა და ომახიანად გასძახა მგზავრებს.

— ხალხო! უბუროდ რა, ღვინო არ დაიღვება? მოდიო, კაცო, ამ ჭავრიან გულზე ერთი ჩვენებურად გაუტეოთ.

— რათა. ძმაო, მანქანა გნახოთ რამე, თელავი განა ცხრამთას იქით არის, რცხვენოდეს საქართველოს რკინიგზის რესტორნებისა და ბუფეტის ტრესტის მუშაკებს, თორემ შიმშილით ვინ მომკვდარა? საჭმელი მოვიტანოთ და ისეთი ქვიფი გავაჩალოთ, რომ თბილისში წასვლა აღარც მოგვიდნეს.

ის იყო მანქანის ძებნაზე მიდგა საქმე, რომ რეპროდუქტორიდან მკექარე ხმით გაისმა გაფრთხილება.

— თვითმფრინავით მიმავლო მგზავრებო! თვითმფრინავი ლი-2-ის მაგივრად რამდენიმე წუთში ჩამოფრინდება ან 2, რომლის ტევადობა 10 მგზავრით განისაზღვრება. მოემზადეთ ჩასასხლომად.

— რაო, კაცო?! ცხრამეტი მგზავრი ჩვენა ვართ 10 უნდა გაფრინდეს, ცხრა უნდა დარჩეს, ვინ მოხვდება ამ ათის სიაში, თუ იცით?

— ვინც მოასწრებს! — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა მგზავრმა, კამარა შეკრა და ახლად ჩამოქდარ თვითმფრინავს ხელად მოექცა კენწეროზე. ატყდა ერთი ალიაქოთი, სირბილი, ზედახორ. მუჭლუგუნ და მიწვე-მოწვეა.

აფრინდა თვითმფრინავი, მაგრამ ძრავების ხმაურში მაინც ისმოდა დარჩენილთა ყვირილი და ვარდისუბნელ ილას ძახილი.

— ჩემი ხურჯინი გაგყვა, ნიკა, ვასოს მიუტანე ჩულურეთში, ვასოს!

თელავის აეროპორტზე მზე მისდგომოდა კოხტად დაწერილ ლოზუნგს:

„სწრაფად, მოხერხებულად, იაფად. იმოგზაურეთ თვითმფრინავით“.

ბურტყუნით მიპყვებოდა ილა აღმართს და თავისთვის ლაპარაკობდა:

— ფრისცვალემა კი ვიცოდი, რაც იყო, მაგრამ თვითმფრინავისცვალემა რა დარღუბალაა ყოფილა, ახლა გავიგე!

3. კახელიზმილი



— იცოცხლეთ და არაფერი გეტკინოთ ჩვენი საავადმყოფოს დამთავრებამდე!

მედიკალი

გეოსანი

თბილისის ტყავის ქარხანა „ისანიდან“ რომ გამოდიოდა, ბიკენტი კარახანოვმა ორი დათრიმლული ტყავი შემოიხვია ტანზე და მერე პალტო გადაიცვა. სითბომ დაუარა სხეულში, ჯერ გათბა, მერე დაცხა, რა საშინლად დაცხა, დაცხა და მერე, ეს რა საოცრებაა, რატომ დაასხა ცივმა ოფლმა!

აი, გამოდის ქარხნიდან, გამოდის, რომ ცივ პაერზე, სუფთა პაერზე მოკეთდეს, მომჭობინდეს, სული მაინც არ შეგებულება ასე, განა პირველად გამოდის ტყავშემოხვეული ეს რა ამბავია მის თავს, რა მტკისის, რა ემართება! იქნება წინათგრძნობაა, ავისმომასწავებელი წინათგრძნობაა. არა, თავისი თავის არა სჯერა, ნუთუ თვითონაა ეს, ნუთუ! არც სხვებს სჯერათ მისი როგორც ჩანს. ასეთი ტანზე გამოქვამილი პალტო რომ არ უყვარდა, ახლა რამ გადარიაო, ფიქრობენ, ჰო, ასე ფიქრობენ, ეს რა მოუვიდა, როგორ ბარბაცებს.

— მიდი, ხელი შეაშველე, არ წაიქცეს, კაცო! წაქცევით არ წაქცეულა, წაიყვანეს „დასასვენებლად“... ბიკენტი, თუმცა ოჯახში კი ამბობენ, „ვია რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო“.

გაღამეჩივაპი

გეურქ დალაქიშვილი დალაქი არ არის, მაგრამ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავის გვარს ფრიად სამამულიშვილო სამსახური გაუწია, შესამჩნევად დალაქავა, ერთი სიტყვით, ლაფში ამოსვარა.

— ვინ იყო გეურქი? თბილისის № 2 ტყავის ქარხნის ერთ-ერთი საამქროს ჩარჩოებზე ტყავის გადამჭიმავი... ჭიმავედა ტყავებს და თავის მეზობლებში იქიმებოდა, რას იზამთ, ასე იცის მდგომარეობამ. იქიმებოდა, ბატონო, იქიმებოდა, მაგრამ ერთ „წყეულ“ დღეს, მოხდა ის, რაც, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო: როცა რამე მისევე, წვრილდება და სუსტდება და მერე ხალხსაც უკვირად უთქვამს, ესაო და „გაწყ-

დეს, სადაც წვრილიაო“, — ჰოდა, გასკდა, ბატონო, სწორედ იქ გასკდა, სადაც დალაქიშვილი დათრიმლულ ტყავებს უნახავდა საგანგებოდ შერჩეულ მუშტრებს, შინამრეწველებს...

ჰოდა, აი ვილაც-ვილაცებმა, თუმცა არა, ვილაც-ვილაცებმა კი არა, სწორედ იმათ, ვისაც ევალებოდა, იკითხეს ეს, დალაქიშვილი რომ იქიმება, რას იქიმებოთ და მოინდომეს გავგოთ მისი ასავალ-დასავალი, აქედან უარეს, იქიდან უარეს და, ბოლოს, ნახეს, სადაც იყო დამარხული... ძაღლის თავი კი არა... ღორის ტყავი, ხარის ტყავი, თხის ტყავი, ცხვრის ტყავი...

გეურქმა ქვა ააგლო და ტყავი შეუშვირა, თქვენ გინდათ მე ტყავი გამაძროთ ამ ტყავების გურლისათვის, მაგრამ თავი დამანებეთ და თქვენს ტყავს გაუფრთხილდით, მე რომ მადანაშაულებთ, აბა საიდან იცით, ან საიდან უნდა ვიცოდე ჩემი სახლის ქვეშ ვინ რა ჩადო. ნუთუ ღმერთი და ხატი არ იცით. იქნება თქვენი იატაკის ქვეშ ოქროები ინახება, მაგრამ მე რა უფლება მაქვს დავადანაშაულოთ?

ჰოდა, მართლა რა უფლება გაქვთ, ხალხნო?

რედაქციის უანიშნა

ჩვენი „გმირები“ რომ მრულე გზას დაადგინენ, ეს უკვე დაამტკიცა ცხოვრებამაც და საზოგადოებამაც, მაგრამ როცა ან ერთი, ან მეორე, ან მსგავსი მათნი ქურდობენ და ბაცაცობენ, სად არიან სხვები, პატიოსანი ადამიანები, დიდები თუ პატარები, ათეულები და ასეულები. ვიღრე სპეკულაციისა და სახელმწიფო ქონების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების წარმომადგენლები მოვიდოდნენ, რატომ თვითონ არ ჩაავლებენ ქეჩოში ხელს ამ ნადირალებსა და ხორცმეტებს და არ მიაბრძანებენ, სადაც ჯერ არს.

ქეჩოში ჩაავლეთ ხელი, ქეჩოში, ასეთებსა და მსგავსთა მათოა!

გაიღიე, ვახტანგ კმოვილო!

ნუ გერიდება, ვახტანგ, გაიღიე, ძმობილო! შენ შეიძლება არც კი გახსოვს, როგორ გიხდებოდა ღიმილი. რა მშვენიერი საყურებელი იყავი.

ეხ, რა კარგი ღიმილი გქონდა, ვახტანგ, ძმობილო!

დავამთავრეთ სწავლა და ერთად დავიწყეთ მუშაობა. შენ თუ ვახტანგ, ბოლო კურსზე აღარ იცინოდი ისე ხმაბლად. სულ იმის ფიქრში იყავი, — ვინმეს არასერიოზული არ ვეგონო.

რატომ არ დაიქცა ის დღე, განყოფილების გამგის მოადგილედ რომ დავნიშნეს. ამ დღიდან შენს ღიმილს თითქოს შუქი მოაკლდა. გავიდა ორი წელი და უკვე განყოფილების გამგე გერქვა. ვილა დაეძებს სიცილს, როცა შენი ღიმილი ვახტანგს სანატრელი.

ვახტანგ, ჩემო ყოფილო ძმობილო!

შენ გეშინოდა ვინმეს მხატვ ბუნების, თავქარიანი კაცი არ გონებოდი. ასე ფიქრობდი — თუ მხიარული გამოხედვა გექნებოდა, თუ წარბებს მრისხანედ არ შეპყრიდი, საქმიან პრეზიდენტში არ აგირჩევდნენ, კრებაზე სიტყვას არ მოგცემდნენ, ცხოვრების და სამსახურის კიდევ ერთ საფეხურზე გერ ახვიდოდი. ეხ, ჩემო ვახტანგ, მე ხომ ვიცი შენ ასე ფიქრობდი.

გავიდა კიდევ სამი წელი. შენი შუბლი ღრმა ნაოჭებმა დასერა. უკვე სულ სხვა ვახტანგი იყავი, უფრო სწორად, ვახტანგ ლუკიჩი. იღიმებოდი დირექტორული ღიმილით მხოლოდ დღესასწაულებზე, ისიც სულ რაღაც ორიოდვე წუთით. ხუთად-ხუთი ოდნავ შესამჩნევი ღიმილი სამს სამოცდახუთ

დღეში, არც თუ ისე ბევრია. თუმცა, შენის აზრით, წარმოების ხელმძღვანელისათვის ესეც საკმარისი იყო. შემდეგ ზოგიერთ დღესასწაულსაც გაუწყებო. სამსახურიდან დაითხოვე მთავარი ინჟინერი, რომელზედაც გითხრეს, წუხელ ტელევიზორში რაიკინის კონცერტს უყურებდა და ხმაბლად იცინოდა... საყვედური გამოუცხადებულად ტერა, რომელმაც შვილიშვილის დაბადების დღეს სიმღერა წამოიწყა... მეხუთე სართულზე ფეხით აღიოდი, რადგან გოგონას, რომელიც ლიფტს ემსახურებოდა, მხიარული სახე ჰქონდა. ვერ მოითმინე და ისიც მარხენი...


მერე?.. მერე შენც მივაყოლეს, ჩემო ექს-მომღიმიარო ძმობილო. თუ მიაქციე ყურადღება, ბრძანებაში ხშირად შეგხვდებოდა სიტყვები: „უხეში“... „ბიუროკრატი“... „პატივმოყვარე“... და ისევ „უხეში“...

ეს იყო და ეს. მესმის, ვანა არ მესმის შენი? ზიხარ ახლა შენ და შესცქერი ახალგაზრდობის სურათს. მგონი სულაც მე უნდა გადამელო შენთვის ეს სურათი. იცინი ფოტოდან, მაგრამ რას იცინი! ეხ, როგორ გიხდებოდა სიცილი, ღიმილი. დეახარ ოთახში და გასცქერი მომცინარ ახალგაზრდას. ვარისკე, ვახტანგ, ნუ გერიდება. გაიღიე, ძმობილო, შენც ხომ კარგად იცი, რომ პრეზიდენტის მაგიდასთან შენი ადგილი ამ მოკლე დროში არ იქნება, არც კრებაზე გამოხვალ რიხიანი სიტყვით. მაშ რა გაბრკოლებს? ახლა მაინც გაიღიე, ვახტანგ, ძმობილო!..

ბ. უპრობათაშვილი

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დილა დაუდგემლ მოწყობილობათა რაოდენობა.

ნახ. ნ. მაღალონიანი



დაამონტაჟეს

ზოგიერთი შახტების სამეურნეო ხელმძღვანელები არ აწარმოებენ ჯეროვან ბრძოლას კადრების დენადობისა და გაცდენების წინააღმდეგ.



ნახ. ნ. მაღალონიანი

შეგრიბებელი

კაცო, მამალს ნაჩხუბარი მეზობლები შეეერივებინოს გაგიგონიათ? — ბებრული სიცილით ბეირდებოდა ძია სტოპა.

— მამალ ქათამს, კაცო?! — გაიოცეს ძველმა შეგირდებმა.

— აბა, ეგა თქვი და, ერთხელ, ჩემი რადიო დამუხჯდა. ხაზი გავსინჯე, ყველაფერი რიგზეა. მეზობელს მივუკაკუნე, ეგებ იქაც არ მუშაობს რადიო-მეთქი, მან კი როდესაც გაიგო რისთვის მივედი, მიყვირა, შენ რაში გეინტერესება ჩემი რადიოს ამბავიო.

გამობრუნებას ვაპირებდი, რომ შემთხვევით თვალი მოვკარი ვილაქ კაცს, რომელსაც რადიოხაზი გაპყავდა მეორე ოთახში. იმ კაცს შევეცოდე და წამომყვა. ჩემი რეპროდუქტორი რომ დაინახა, მონტიორმა ხელი ჩაიქნია, — ამისთანა ძველი ან აქამდე როგორ მუშაობდაო, თან აიღო და რადიო ჩართო. რადიომ ხელად დაიწყო მუშაობა, სიმღერა და ლაპარაკი, შემდეგ მონტიორმა გამორთო რეპროდუქტორი და წავიდა. ახლა მე ჩავრთე. ვხედავ, არ მუშაობს. გავიქეცი ისევ იმ კაცთან. ისევ წამომყვა. ჩართო და... დაიწყო რადიომ ლაპარაკი.

— შენ, ძმაო, მასხარად მიგდებ? საქმე კი არ გამოძლევი! — გამიბრაზდა მონტიორი. დარცხვენოლმა ხელების კანკალით ძლივს ჩავრთე რადიო, მაგრამ...

ჩემს მეზობელთან და იმ მონტიორთან ლაპარაკს ხელოსნის გამოძახება ვამჯობინე. გასინჯა მონტიორმა რადიო, კარგიაო, თქვა და კვლავ ჩართო. დაიწყო რადიომ მუშაობა.

— კაცო, ეს რადიო გამაგიჟებს. მე ჩავრთავ — არ მუშაობს, სხვები რთავენ — მუშაობს. რაშია სიქმე გამაგებინეთ-მეთქი.

— ეს ხაზი კიდევ ვის ბინაზე გადისო. მე ვუთხარი. ჩემს მეზობელს რაღაცეები შეუსწორეს და 5 მანეთით დააჯარიმეს, ჩემი რადიო კი თურმე იმიტომ არ მუშაობდა, რომ კონტაქტი იმის რადიოს მუშაობაზე იყო დამოკიდებული.

აქაო და შენი გულისთვის დაგვაჯარიმესო. მეზობლის დიასახლისმა ოთხი თეთრი მამალი იყიდა და აიფინს წინ დამიბა. იმ დღიდან დაიწყო მე და ჩემი ცოლის ანუშას წვალება. ეს ოთხი მამალი შუალამიდან რომ დაიწყებდა ყოვილს, გათენებამდე მე და ჩემი ცოლი ძილგატეხილები ვამთქნარებდით.

ამ სამი დღის წინ ბაზარში ვიყავით, ვხედავ ერთ სოფელს დედაკაცს უზარმაზარი მამალი უქორავს. წამოვიყვანე ეს მამალი და დავუბი მეზობელს აიფინს წინ. უნდა გენახათ, კაცო, ამ ჩემს მამალს რა ყვილი სცოდნია. შუაღამეს ერთი რომ დაიყვილა, მეზობლის მამლებს შიშით ხმა აღარ ამოუღიათ.

სალამოს მეზობელმა დამიძახა და მითხრა: — სტოპაჯან, შენმა მამალმა წუხელ მთელი ღამე არ დამიძინა. ვიცი, ძმაო, რატომაც დააბი ჩემს აიფინთან. მოდი, ეგ შენი მამალი დაკალი და ჩემს ოთხივე მამალს დავკლავო და ერთი მეზობლური პურიც ვჭამოთო. ასეც მოვიქეცი. აი, ამ მამალმა მეზობლებიც შეგვარიგა და ერთი კარგადაც გვაქეცია.

ლ. შავლინიშვილი

გაპატრონე, სირმინო!

თერთმეტი საათი იქნებოდა, დალილი მივადექი ჩემს სადარბაზოს და ნელ-ნელა კიბეებს ავყევი. ზარის დარეკა ვერ მოვასწარი, რომ მოულოდნელად გაიღო კარი და, სინათლესთან ერთად რაღაც შეტაკა.

— სადა ხარ, კაცო, შენ!
ეს დახვედრის იმდენად ახალი მეთო-ლი იყო, რომ ცოტა ხანს ვერ გავიგე, რა მოხდა.

— გააღე პირი!
პირის გაღება არ დამჭირვებია, ში-შისაგან ისედაც ღია მქონდა.

— უყურე შენ! სუნი არ აქვს, ხუთ საათზე სამსახური თავდება, თერთმეტი საათია, და ნასვამი არ ხარ, რაშია საქმე?!
— ლექციაზე ვიყავი, — ამოვიკნავლე მე.

— უმალღესში მოეწყე? — იხუმრა ცოლმა.

— არა, მათქმევინე, ლექცია, ლექცია ჩაგვიტარეს ქიმიანზე.

— ხუმრობ არა, შენი ქიმიან კი ვიცი მე, კოლბა არ მაქვს, მაგრამ „ჩაინიკში“ მოგხარშავ შე... აი სამი ღლაბი რომ ჩამომკიდე კისერზე მძივებზეთ, აგენს მიხედვა არ უნდა? სარეცხს მე ვრეცხავ, თეფშებს მე ვრეცხავ, იატაკს მე ვრეცხავ, იმის მაგივრად მოხვიდე და მომეხმარო, ლექცია, კინოები დამიწყე, ხომ! რა ჯანდაბად მინდა ქიმიან, ყაძახო, მე, ა...

ძველ ხერხს მივმართე, ჩუმად ლოგინისაკენ გავქანდი და საბანი წავიფარე თავზე, არ მიშველა, მოგუდული წყევლა მაინც ატანდა შიგნით: ქირი, ჯანდაბა.

— ნუ მწყევლი, თვარა ღმერთი გადავიხდის სამაგიეროს, — შევაშინე ცოლი.

— ხმა!
წყევლა ზუზუნში გადაიხარდა, ზუზუნის ზურნაში, ზურნამ „იავნანა“ გარეკა და... კივილმა ლოგინიდან წამომავლო.

— რა იყო, ქალო! — ვიკივლე მეც მივხვდი შუალაბე იყო.

— რა იყო, დილას გეტყვი, დილას. შუალაბესვე გადავწყვიტე, დილით უსაუზმოდ ვაგპარულიყავი. მეორე დღეს საქმე წინდაწინვე ჩავაწყვე, მე და დირექტორი ობიექტზე მივდივართ, დავრეკე სახლში და კლუბში ბოლო ლექციას დავესწარი. ლექტორმა ის იყო შეტობა, რომ რაღაც ჯინჯარივით სუსხი ვიგრძენი, მერე ცივმა ოფლმა დამასხა და, მოვიხვდე, გვერდით ცოლი მეჭდა.

— გარეთ როცა გამოხვალ, იქ გეტყვი ყველაფერს. — ჩამჩურჩულა მან. გავთავდი, როგორ გათავდა ლექცია, არ გამიგია. გამოვედი, ცოლს ხელმკლავი გავუკეთე და ფეხს ავუჩქარე.

— იქით გავიდეთ, სადაც ხალხი არ არის. — ისევ ჩამჩურჩულა მან.

— კიდევ იქით, აგერ, ბალისაკენ.
— აუჰ.

— რა იყო, შე კაცო, წუხელის რომ ვიკივლე, არ იცი რა მოხდა?

— არა.

— გადამიხადა ღმერთმა, ხომ იცი ჩემო სირმინო.

— რა იყო, ქალო, არ მეტყვი, გავთავდი კაცი.

— დაგწევი თვარა, მეც დამეძინა. გვეხედე და რას ვხედავ, გადასარევი ვილაცა თეთრწვერა ბერიკაცი გამოძეცხადა.

— გაჩერდი, ქალო!

— კი, შენ გგონია, ან მამაშენი იყო ან მამაჩემი, არა, ვუყურებ და ვერ ვიციანი, ვინ ხარ, ბიძია, შენ-მეთქი, ვუთხარი. მე ქიმიან ვარო, ასე მითხრა.

— კაი, ქალო.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, დღეს რომ გამლანძღე, რას მერჩოდო, მე შენ ცოტა რამეში გეხმარებო, მაინც რაში. ბატონო-მეთქი, რაშიო და... რომ დამაყარა, მარა რა დამაყარა, სარეცხს რომ რეცხავ, წყალს რითი აცხელებო. გაზით-მეთქი ვუთხარი, მერე მაგი მე ვარო, სარეცხში რომ სოდას ყრი, იგიც მე ვარო, შენი ქმრის ღვინით დატურტყნულ ხალათებს რომ ლაქებს აცლი პერსოლით, იგი მე ვარო, კა-პირველი მე ვარო, ხალათს რომ ახამებ, იგი მე ვარო, საბონი მე ვარო, თეფშებს რომ ნედეთი რეცხავ, იგი მე ვარო, იატაკს რომ აპრიალებ მასტიკით, იგი მე ვარო, სამზარეულოში რომ ლინოლეუმი, იგიც მე ვარო, ბოლიში, ბატონო-მეთქი. თქვენი ბოლიში არ მინდა, ჯერ მაცალე, სად ხარ, ახლა შენზე ვადმოვალო და გადმევიდა, დედა, დედამიწა გამსტკეცოდა და შიგ ჩავსულიყავი, ის მერჩია, კბილებს რომ ითეთრებ პასტით, ის მე ვარო, პუდრი, პომადა და სუნამო მე ვარო, ერთი რაღაც მითხრა, კიდევ და იმას არ გეტყვი.

— რაო, ქალო?

— რაო და თმებს და წამწამებს რომ იღებავ, იგიც მე ვარო. მოვკვდი, გავთავდი, ის იყო გული უნდა წამსვლოდა, „ვალერიანკას“ ვეტაკე. ე, მაგიც მე ვარო, კიდევ, თუ იცი, რა ვარო. არა-მეთქი, ვუთხარი, ნეილონის შუბა მე ვარო, „იტალიური პლაში“ მე ვარო, სილონი ვარო, პერლონი ვარო, კაპროლაქტამი ვარო, ავი ვარო, იგი ვარო, და ჩაუვარდი ფეხებში, ნუ მომკლავ-მეთქი.

— მერე!

— მერე გეცინა და მითხრა, მე მოსაკლავად კი არ მოვსულვარ, შენი ქმრის თავდებად მოვედი, და დღეიდან ხმა არ გასცე უბატონოდ, ჰოდა, გამოვიქეცი შენთან, შენი ნახვაც მინდოდა და აგერ ლექციასაც მოვუსმინე, მაპატიებ, სირმინო?

— კი.
— კარქი, აბა!



— რა ვაკივლებს, შე ოხერო, იმ ფარღალა-ლა ფერმაში ყოფნას სიკვდილი არ გირჩე-ნია?!

ყსაქმყრეპა

ვინ არ გვიცნობს, ვინ არ გვხედავს დღედაღამე ვალეშილებს? ქუჩაში ვერ გავუვლიათ ჩვენი შიშით ქალიშვილებს! დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, კახური და ცხელი მწვადი, ქეიფიდან ქეიფამდე — აი, ჩვენი წელიწადი!

აპაკი გელოვანი

ცული კვების, მოვლისა და შენახვის გამო ზოგიერთ რაიონში ადგილი ჰქონდა პირუტყვის სიკვდილიანობას.



— პირუტყვი ცული კვებით დაგვეხოცა, მაგრამ აქტები კარგი შევადგინეთ!



„დამარცხებული“

— ბატონო უფროსო, არ რცხვნიან ამ ხნის კაცს რომ მჩაგრავს და თავი დამარცხა მუშტზე!

ხომ არაქნის სურს?

ძველ ბერძნებს ჰყავდათ ომის ღვთაება — არესი, ასე ვთქვათ, ზევსის მთავრობის „სამხედრო მინისტრი“. რომაელების ცაზე იმავე ფუნქციებს მარსი ასრულებდა. მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში დასაბამიდან შემოღებული იყო ერთმანეთველობა და აქ მინისტრთა პორტფელების განაწილება არ ხდებოდა. მთელი ძალა-უფლება მამა-ზეციერის ხელში იყო თავმოყრილი. მეოცე საუკუნეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა: იმპერიალისტური სახელმწიფოები გამაღებული შეიარაღების ფერხულში ჩაებნენ. მოკალი! მოსპე! განადგურე! — ასეთია „ცოფიანთა“ ლოზუნგი.

მათ მთავარანგელოზის ხელით ულტიმატუმი გაგზავნეს ზეციერ სამყაროში, იქ, სადაც თვით სამყაროს შემოქმედისა და კოსმონავტების მეტი არაფერია ყოფილა. ღმერთმა პასუხი არ დააყოვნა: ჭარბი ძალების წინაშე იძულებული ვარ პოზიციები დაეთმო და შეთანხმებაზე წავიდე. ორივე პირობას უყოყმანოდ ვიღებ: პირველი — შევიარაღდე, მეორე — ვიბრძოლო მხოლოდ კომუნისტების წინააღმდეგ.

მაგრამ იქნებ თქვენ გეპარებათ ამ ამბის ჭეშმარიტებაში? ან გგონიათ, რომ ჩვენ პლანეტაზე დაამახინჯეს ღმერთის პასუხი (ეს! ვინ არ იცის, როგორ მახინჯდება ზოგჯერ დეპუტატების ტექსტი)? მაშინ მივმართოთ ისეთ ავტორიტეტულ პიროვნებას, როგორც არის ამერიკელი პატერი ბილი გრაჰამი. ის ამტკიცებს, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს ზეცასთან. საიდანაც აცნობებს, რომ ღმერთი დასთანხმდა შეიარაღებაზე და ხელში... ტყვიამფრქვევი აიღო.

ტყვიამფრქვევი? ეს ხომ ნამდვილი უბადრუკობაა! თანამედროვე ომის პირობებში გინდა ტყვიამფრქვევით გიბრძოლია და გინდა მშვილდისხრით! ამიტომ გრაჰამი იძულებული გახდა სპეციალური განმარტებით გამოსულიყო. მან შემდეგი განაცხადა:

— ქრისტიანებო! თქვენ ვერ გამიგეთ. ტყვიამფრქვევი სრულიადაც არ არის ის იარაღი, რომლითაც აღჭურვილია ღმერთი. არა! ეს მხოლოდ ღმერთის ერთ-ერთი სახეობაა. ამიერიდან ღმერთს სამი კი არა, ოთხი სახე აქვს: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, წმინდა სული და... ტყვიამფრქვევი! ხოლო ტყვიამფრქვევში განსაზღვრულ ღვთაებას ატომურ ბომბთან თამაშიც შეუძლია.

ცხადია, ვერც ამგვარმა პასუხმა დააკმაყოფილა ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწენი. — როგორ? — გაკვირვდნენ ისინი. — ჩვენი ღმერთი — უძლიერესი არსებია, და განა არ მოიპოვებდა მისი შესატყვისი სიმბოლო, უფრო დამაჯერებელი, ვიდრე ტყვიამფრქვევი? სხვათა შორის, ამ კამათში მონაწილეობა მიიღეს თეოლოგიური მეცნიერების ისეთმა

წარმომადგენლებმაც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ატომური იარაღი ღმერთმა ამერიკელებზე დიდხნით ადრე გამოიყენაო. გახსოვთ წარღნა? ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ატომური ომი, რომელიც არაკვიცილიზირებულმა ადამიანებმა წყალობილად მიიჩნიეს. მაგრამ თუ ეს ასეა და ატომური წარღვნა შესაძლებელია კიდევ განმეორდეს, მაშინ ისმება კითხვა: ვინ უნდა შეასრულოს ბიბლიური ნიღბი როლი? ამაში ორი აზრი არ არსებობს: რასაკვირველია, ამერიკელ „ცოფიანთა“ ლიდერმა, „ჭეშმარიტმა“ ქრისტიანმა ბარი გოლდუოტერმა! მას კონკურენცია შეიძლება მხოლოდ დასავლეთ გერმანიის ექსკანცლერმა კონრად ადენაუერმა გაუწიოს, მაგრამ ბოროტი ენები იმასაც უმატებენ, რომ ეს უკანასკნელი იმდენად დაბერდა, რომ „წარღვნის“ შემდეგ ადამიანთა გვარს ვერ გააგრძელებსო...

მაგრამ დავებრუნდეთ ბილი გრაჰამს. რომლითაც განსაკუთრებით აღმფრთხილებული იყო დასავლეთ გერმანიელი იესუიტების პატერი იოჰანეს ლეპისი, რომელმაც სპეციალურად მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა სიტყვა-პიტყვით შემდეგი: „თუ ბილი გრაჰამი ღმერთს როგორც ტყვიამფრქვევს განასახიერებს, მე უფრო მეტი უფლება მაქვს წარმოვიდგინო ჩვენი უფალი როგორც საბრძოლო მასალათა მთელი ქარხანა“.

ლეპისის ფორმულირება (რომელშიც ჩვენ, სხვათა შორის, არამცთუ სიტყვა, არამედ არც ერთი მძიმე ან წერტილი არ შეგვიცვლია), მოიწონეს ზეციური მამის მიწიერმა მოციქულებმა. კამათი მხოლოდ იმის გავრცელება, თუ როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი „საბრძოლო მასალა“? ბოლოს დადგინეს: ეს ტერმინი აღნიშნავს ყველაფერს, რითაც შეიძლება ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმოს, დაწვებული ჯავით და გათავებული ასშვებატონიანი ატომური ბომბით!

როგორც ხედავთ, ცუდად არის ჩვენი საქმე. ღმერთი მთელი თავისი აზნუნიციით და შეიარაღებით ჩვენი მოწინააღმდეგეების ბანაკშია. მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაშინებს. ზეციერი მბრძანებელი ჩვენ არასდროს არ გვწყალობდა, ყოველთვის მტრის მხარეზე იყო და გვიტყვევდნენ ყოველის მხრიდან — მიწიდანაც და ზეციდანაც.

პიტლერელებსაც ღმერთი თავიანთ მოკავშირედ მიაჩნდათ. აქი გაკვირვდნენ: „გოტ მიტ უნს!“ („ღმერთი ჩვენთანაა!“). ვერ გეტყვით, მართლა მათთან იყო ღმერთი თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ასლა ისინი თვითონ სადღაც ღვთაების შორიახლოს „ბინადრობენ“.

ხომ არავის სურს მიტყვევოს მათ?

ზანნი ბარა

ქსეცად და მჩაგრევი

— ფათალა, ეგ ტუფლები ერევენული ხომ არაა?
— ოჰ, ეგლა მაკლია, — ფრანცუხსკია.
— ფათალა, ეგ ჩულქები ნამდვილად კიევური.
— გავიყდი? — ამერიკანსკია.
— ფათალა, ეგ „ბლუზკა“ მოსკოვეურია?
— როგორ გეკადრება — ანგლისკია.
— საწვიმარი, მგონი, ჩიგისაა.
— რას მელაპარაკები, კილო, იტალიანსკია.
— ფათალა, ხმა რალაც ამოგცვლია და ცხვირში დუღუნებ, სურდო გაქვს, ალბათ.
— ოჰ, ეგლა მაკლია, — ისპანსკი გრიპია.

ბ. პ.



მოქმედი პირნი: მე, ჩემი ცოლი, სიდედრი და ცოლისდა.
მე — მშია!
სიდედრი — რა თქვი?!
ცოლისდა — გაიმეორე.
ცოლი — რა გაიგონა ამ ყურბებმა?!
მე — მშია!
სიდედრი — ცეცხლი ჭამე შენ.
ცოლისდა — ნავთი დააყოლე თან.
ცოლი — ჩაგისკადა მუცელი.
მე — მშია!
სიდედრი — შენ ჩაგვიარდა ეგ ენა.
ცოლისდა — ვის გაგხარ ასეთი ღორმუცელი.
ცოლი — არ თქვა, თორემ გაგიხეთქავ თავს.
მე — მშ...

ცოლმა მართლა გამიხეთქა თავი და ახლა საავადმყოფოში ვწევარ. ყოველდღე შემწვარ-მობრაკულეები მოაქვთ ჩემთან ჩემს ცოლს, ცოლისდას და სიდედრს, რომ მალე მოემჯობინდე და ძველებურად ვარჩინო ისინი. მე ძმურად ვუყვარ ჩემს სანოვარეს ჩემს ეჭიმს და ისიც არ მმკურნალობს. ვიყი ვარ, საავადმყოფოდან გამოვიდე და საგყეთში ჩავვარდე?

ბ. მახვილაძე

გაყოფილი ხანის მუხილი

— ფუი, მოგიკვდა პატრონი!
— რა იყო?!
— მარილი დამებნა!
— რა მოხდა მერე?
— ჩხუბი იცის!
— ნუ ხარ, ქალო, ცრუმორწმუნე!
— ასე მაქვს დაცდილი და რა ვქნა!
— სისულელეა!
— რა ვიცი, მე და დედაჩემს რამდენჯერ მოგვესვლია მარილის გამო ჩხუბი!
— დედაშენს უყურებ ახალგაზრდა ქალი?!
— გადასწვდი ახლა დედაჩემს, ხო!
— გადადი ცოტა ხანს დედაშენთან, ხომ ხედავ ვმუშაობ?!
— დედაჩემის ქვალი დაგადგეს, რას დაერიე ჩემიანებს ამ დილაადრიანად!..
— ქალო, ჩანგალი ვერ დაგიჭერია ხელში, რომ დამიხეთქე ცხვირწინ?!
— ასე მიწოდდა და ასე ვქენი!
— ქალო, შენ ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს წუხელი?!
— საშინელი, შენ გნახე!
— ხმა, თორემ... არ ვიცი, რას გიზამ!
— ამაზე მეტი რა უნდა მიქნა, კინო შენგან არ მახსოვს და თეატრი, ერთი შენსავით მოშლილი ტელევიზორი მომითრიე და ლამის მიმაკლა ზედ!
— გააჩერე, ქალო, ენა!
— არ გაგაჩერებ, არა!
— დავლწავ ყველაფერს!
— აბა, შენ იცი, თუ მადლსა შერები, მარილიც მოყარე ბარემ!

ბრ. ჩიქვილაძე



გარეთიანი
ნიანგი

ჩვენს ნიანგო

ყოველ დილით სოფელ კახათიდან
40-მდე მუშა-მოსამსახურე და მოსწავლე
გადის ზუგდიდის მიმართულებით. სამ-
წუხაროდ, ისინი იძულებულნი არიან კე-
რძო მანქანები დაიქირაონ და იმით იმ-
გზავრონ. ალბათ იკითხავენ, „ზუგდიდ-
კახათის“ მიმართულებით მოძრაი ავტო-
ბუსი რაღას აკეთებსო, სწორედ ამაშია
ჩვენი გასაკვირი, რომ ეს ავტობუსი,
„ზუგდიდ-კახათის“ გარდა, ყველა მიმარ-
თულებით მოძრაობს. მოხსნიან მძღოლე-
ბი ავტობუსს წარწერას და, საითაც
სურთ, იქით დააპრობებენ. 2 იანვარს ეს
ცნობიერი ავტობუსი სოფელ ხაიხაქუ-
რში შედგენს ესწრებოდა. 4 და 5 იანვარს
საერთოდ არ გამოჩნდებოდა სოფელ კახათ-
ში. 7 იანვარს, როგორც იყო, გამოჩნდა,
შეუხებია სოფლის ერთ-ერთ ქუჩაზე, სა-
დაც ავტობუსი საერთოდ არ მოძრაობს
და, რას აკეთებდა იქ, არავენ იცის. ძმაო
ნიანგო, იქნება შენ დაგვეხმარო ჩვენი
კუთვნილი ავტობუსის ჩვენსკენ შემო-
ბრუნებაში.

ჩვენს ნიანგო

ქ. ლავროვში ჰაჰავაძის ქუჩაზე 1961
წელს დამთავრდა ბინის მშენებლობა. აღ-
ნიშნული ბინის გარეგნული შეხედულება
გულს გაგებარებს. მაგრამ მართო გარეგ-
ნობა, როგორც დავრწმუნდით, ბევრს
არაფერს არგებს ადამიანს. გთვალისკი-
ნებული იყო შუშაბანდების გაკეთება.
მაგრამ ვინ მოიცალა ამ საქმისათვის.
თავისუფლად შეგიძლია მოისმინო მეზო-
ბლის საუბარი. თუ მეზობელ ოთახში წა-
ვინმემ გაიარა, მეორე ოთახში ავეჭი წა-
წარებს და კურკული ცვივა. ქვედა სა-
რთულის მცხოვრებლები უფრო მეტად
ვერთობით, რადგან, მუსიკის გარდა, შე-
მოღან ფეხების სასიამოვნო ბრაზუნიც
გვატკობს. მართალია, ბინა უზრუნველ-
ყოფილია სათავსოებით, მაგრამ რა აზ-
რი აქვს სათავსოებს, რომლებიც, უწყ-
ლობის გამო, გამოუყენებელი ვარჩება.
გთხოვთ, ძარფასო ნიანგო, ჩვენს
თხოვნას უურადლება მიაქციო და გაგ-
ვიწიო დახმარება.
ბ. ბ. ავაშიძე და სხვები.

პატივცემულ ნიანგო


ჩვენ, მეორე ნავთულში მცხოვრებ-
ლებს, არ გვინდოდა თქვენი შეწყობა,
მაგრამ, როგორც იტყვიან „გაჭირვება
მიჩვენებს და გაქცევს გიჩვენებსო“, იძუ-
ლებული ვართ, თხოვნით მოგმართოთ.
ალბათ, იკითხავენ, ისეთი რა გაგიჭირდა-
თო. რომელი ერთი მოგახსენოთ. თუნ-
დაც ის, რომ ამ ბარათს ლამის შუქზე
ვერთ და ოთახში ჰეროდან სახურავზე
გამდნარი თოვლი მოწვეთავს. ოთახი მთ-
რის გარდა ქარხნის ბოლით არის სავსე
და სიცივისაგან ვცაცხვებთ. ერთი წლის
წინ ბინის ორდერები რომ გამოგვიწერეს
და ახალ შენობაში შეგვასახლეს, ჩვენს
სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ
სულ მალე სიხარული მწუხარებამ შეს-
ცვალა. დღემდის ვეძებთ და ვერ გვიპო-
ვია, ვინ არის ჩვენი შენობის პატრონი,
ვის უნდა მივმართოთ დახმარებისათ-
ვის, ვინ გავვითობს ბინებს და, საერ-
თოდ, ვის ეხება მეორე ნავთულის პირ-
ველ ქუჩაზე არსებული უნომრო კორპუ-
სის გათბობა, განათება და მოვლა-პატ-
რონობა.
ამავე კორპუსში მცხოვრებნი
თ. გელიაშვილი, პ. ქელესა-
შვილი, მ. ქავთარაძე და
სხვები.

ძმაო ნიანგო

სიზმარში ხშირად ჩავარდნილვარ ორ-
მოში და, შენ წარმოიდგინე, არაფერი
მტკენია. მაგრამ, ამას წინათ რომ ვუა-
ფხველას პარასპექტე თავით რომელი-
დაც ორმოში ჩავეყვი, ეს უკვე სიზმარი
აღარ იყო. თუ არა გჭერა, მობრძანდი და
შენი საკუთარი თვლით იხილე. დიდხანს
მეტრზე არ დაგვირდებია, უკვე 75-100
მეტრზე ასეთი ორმოები და, რატომღაც,
არც ერთს არ ახურავს რკინის სარკველი.
ქუჩა რომ განათებული ყოფილიყო, იქნე-
ბა ორმოც შემეშინა. ორმოში რომ ჩავ-
ვარდი, მთელი ღამე ვიყვირებ, მაგრამ
ვინ გამოგო. იქნება შენ გამოგო, ჩვენს
ნიანგო, და იმათაც გააგებინო, ვისაც ეს
საქმე ეხება.

სამუშაო ნიანგო

ჩერ კიდევ გასულ წელს გვსურდა შე-
ნი მოწვევა ახალციხის რაიონის სოფელ
ყარაუბანში. მაგრამ ვერ მოვახერხეთ.
ახლა კი გთხოვთ გვეწვიო და შენებურად
გადავლო თვალი ჩვენ სოფელს. მაგრამ
არ გავიკვირდეს, თუ სოფელში სასმელი
წყალი ვერ იშოვნო. ჩვენ ხომ დიდი
ხანია, რაც სასმელი წყალი გვეწარება
და პატარა, უხუფთაო წყალი ვერ ამა-
ყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. იქ-
ნება შენ დაგვეხმარო ამ საკითხის მოგ-
ვიწვიო.



თხოვნი სუამი ნიანგო

თხოვნით მოგმართავთ თეთრიწყაროს
რაიონის სოფელ დიდი თონეთის მცხოვ-
რებლები. ჩვენი სოფელი მოსახლეობის
მიხედვით რაიონში ყველაზე დიდი სო-
ფელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაზე
ნაკლები უურადლება გვექცევა. ასე რომ
არ იყოს, ლამის შუქზე არ მოგვიხდე-
ბოდა ყოფნა და რაიონის ხელმძღვანე-
ლობა იზრუნებდა ჩვენთვის ელექტრო-
დენის მოწოდებისათვის. ხშირად, ზამთ-
რის პერიოდში, ნავთის შოვნაც გვიჭირს
და სიბნელეში გვიხდება საღამოს გატა-
რება. ჩვენს ნიანგო იმედი გვაქვს, რომ
ჩვენს თხოვნას შეისმენ და დაგვეხმა-
რები.
ს. ი. ნადირაძე

ნახ. თ. ჯიშარიანი



— ლა გინდათ, ბატონო, საცივრის ციგნი, ლა ალ მოგეწონათ?!
— შე კაცო, ხაშში გექნა ჩლიქები, აქ რომ ენას იჩლიქავ!

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კბ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/II-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა
რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გა მომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შეკვ. № 315. უფ 04123. ტირაჟი 40.000

თითქოს იმისათვის, რომ კვიბროსელებისგან დაიცვან კვიბროსელები, იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ, კუნძულზე გავზაენონ სამხედრო-კოლონიური დაჯგუფების ნატოს ჯარები.

თავსაოგა ნატოს ანკასით.

